MES 9 20 0000651262

31/07/2020

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 17.07.2020**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 18:58სთ**
**საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული**
**საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი -საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე**- სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი**- შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;

**სხდომაზე დამსწრე პირები**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | სოფიკო ქურასბედიანი | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |
| 2 | მარიამ გრიგალაშვილი | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |
| 3 | ქეთევან თელია | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |
| 4 | თორნიკე ბაქაქური | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი |

**საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | სერგო ტეფნაძე | შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი | რექტორი | I- II |
| 2 | ემზარ ბარბაქაძე | შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი | რექტორის მოადგილე | I- II |
| 3 | დავით ტეფნაძე | შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I- II |
| 4 | ვახტანგ ჭარაია | შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი | ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი და საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი | I- II |
| 5 | მინდია მინდიაშვილი | შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი | სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი | I- II |
| 6 | ქეთვან ინწკირველი | შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი | მოწვეული სპეციალისტი | I- II |
| 7 | გიორგი ხატიძე | | მოწვეული სპეციალისტი | I- II |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი | | |
| 8 | ნინო ხუჭუა | შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი | მოწვეული სპეციალისტი | I- II |
| 9 | გიორგი კეპულაძე | შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი | ასოცირებული სპეციალისტი | I- II |
| 10 | ლევანი კალმახელიძე | შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი | მოწვეული სპეციალისტი | I- II |
| 11 | კახაბერ კორძაია | შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი | რექტორი | III |
| 12 | მარინა გედევანიშვილი | შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | III |
| 13 | ვახტანგ მაისაია | შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი | საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, | III |
| 14 | ალიკა გუჩუა | შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი | საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის თანაშემწე | III |
| 15 | ცირა ელისაშვილი | ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი | IV |
| 16 | დავით წასიძე | ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი | IV |
| 17 | ელენე ბერიძე | ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი | IV |
| 18 | ელენე ნიკოლაიშვილი | ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | IV |

**აკრედიტაციის ექსპერტები**

| | | | |
|---|---|---|---|

| N | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | ეკა ლეკაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I- II |
| 2 | მანანა მოისწრაფიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I- II |
| 3 | თამარ ღუღუნაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I- II |
| 4 | ხვიჩა ბერიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 5 | ნინო ფარსადანაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოების" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ადგილობრივი თვითთმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "შედარებითი კომერციული სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ზემოაღნიშნული დღის წესრიგი.**

**1. პირველი საკითხი:** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა | 2015 წლის 28 ივლისის N110 გადაწყვეტილება |

| | | |
|---|---|---|
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | |
| 9 | სწავლების ენა | ქართული |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 11 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქ. თბილისი, 0103, ქეთევან დედოფლის გამზირი N16. |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**2. მეორე საკითხი:** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა | 2015 წლის 28 ივლისის N111 გადაწყვეტილება. |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტში |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | |
| 9 | სწავლების ენა | ქართული |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 11 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქ. თბილისი, 0103, ქეთევან დედოფლის გამზირი N16 |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- კი

თვითაცილება განაცხადა - ნიკა თიკანაშვილმა
**თვითაცილების საფუძველი:** შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ეკა ლეკიშვილმა განმარტა, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილია საბაკალავრო პროგრამა ,,საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი", რომელიც მანამდე მოქმედებდა აკრედიტაციის რეჟიმში აკრედიტაციის საბჭოს N110 გადაწყვეტილების (28.07.2015) საფუძველზე. შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS კრედიტს მოიცავს, საიდანაც ძირითად სასწავლო კომპონენტზე 157, ძირითად არჩევით სასწავლო კურსებზე -35, თავისუფალ სავალდებულო კომპონენტზე 27, ხოლო თავისუფალ არჩევით კომპონენტებზე 21 ECTS კრედიტი მოდის.
ვიზიტი განხორციელდა 20 და 21 მაისს დისტანციურად, აღნიშნული პირველი პრეცენდენტი და ახალი გამოწვევა იყო მათთვის, მაგრამ ფიქრობს, რომ სათანადოდ გაართვეს თავი.
სტანდარტებთან მიმართებით პროგრამის მიმოხილვას რაც შეეხება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი" შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 2.1, 2.2 , 2.5, 2.6, 3.1, 4.3, 4.3, 5.2, 5.3 შესაბამისობაშია, ხოლო 1.1, 1.2, 2.3, 2.4, 4.1, 4.2 და 5.1 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.
არსებული რეკომენდაციებიც უკავშირდება აღნიშული პრობლემების გაუმჯობესებას. უნივერტეტის მხრიდანაც დახვდათ მზადყოფნა, რამაც უნდა გააუმჯობესოს პროგრამის განხორციელება. უნივერტეტის, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამუშავებდნენ და ამზადებდნენ პროგრამას, რაც საჭიროებს მცირე დახვეწას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე, კერძოდ:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვროს პროგრამის მიზნების შესაბამისად ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორის" მოთხოვნის საფუძველზე.
2. დაიხვეწოს მექანიზმი, რომლითაც განისაზღვრება სტუდენტთა შეფასების ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის შედეგები, სწავლის შედეგების არაპირდაპირ შეფასებაში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების მონიტორინგისა და სამიზნე ნიშნულებთან დადარების მეთოდები.
3. განხორციელდეს სასწავლო კურსის ,,ბიზნესის საფუძველები" სწავლის შედეგების ფორმულირების გადამუშავება სასწავლო კურსის კომპონენტების და კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დასკვნაშიც აქვთ აღნიშნული, რომ ჰქონდათ ინტერვიუ საგნის ხელმძღვანელთან, თვლიან, რომ უნარების ფორმულირების ნაწილი არის რთული რაც პრინციპების საფუძვლებს ცდება და მიაჩნიათ, რომ შედეგები უნდა გადამუშავდეს.
4.განახლდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში: სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები.
5. მდგრადი ხასიათი შეიძინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის დაცვის, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდისა და დენადობის მაჩვენებლის შემცირებისკენ მიმართულმა აქტივობებმა, რომლებიც განსაზღვულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით და რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას.
- მთელი რიგი აქტივობები განხორციელდა, თუმცა ჯერ ვერ დაინახეს შედეგი მსჯელობენ იმ არსებული მოცემულობით რაც არის.

6. ხელმძღვანელის და სტუდენტების მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმოს საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესებთან შესაბამისობას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ფორმალიზების თვალსაზრისით დოკუმენტები გამოსწორებულია, მაგრამ, მაინც საჭიროებს დახვეწას.
7. დაწესებულებამ შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების და მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვას. ასევე, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ იზრუნოს მოწვეული პერსონალის აკადემიური უნარების უწყვეტ განვითარებაზე და დაწესებულების საქმიანობაში მათ მეტად ჩართვასა და მოტივაციის გაზრდაზე. ექპერტმა შეჯამების სახით განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქტივობები დაწყებული აქვს. ბოლო პერიდში აქტიურად დაიგეგმა ღონისძიებები, მაგრამ რატომღაც მათი აქტივობა არის პასიური და უნდა მოიძებნოს მოტივაციის მექანიზმები. იგივე ეხება ინტერნაციონალიზაციასაც.
8. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, შემუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმა.

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ვახტანგ ჭარაიამ აღნიშნა, რომ იზიარებენ რიგ რეკომენდაციებს და განმარტა, რომ ნაყოფიერად და თანამშრომლობით წარიმართა პროცესი.
პროგრამას სახელწოდება არ შეცვლია რამდენიმე წელია და ამ დასახელებით ფუნქციონირებს. აღნიშნული წარმოადგენს მათი უნივერსტეტის ერთგვარ ბრენდს, რომელსაც ცდილობენ დაიცვან და ეს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვან. შესაბამისად პროგრამის დასახელების ცვლილება მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ.
ექსპერტთა რეკომენდაციებზე ვახტანგ ჭარაიამ განმარტა შემდეგი:
როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის დასახელების ცვლილებას არ ეთანხმებიან შემდეგი არგუმენტაციით, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან. იგივე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.
ამ ყველაფერთან ერთად ექსპერტთა ჯგუფმა გასაუბრების დროს მოისმინა, რომ სტუდენტები მენეჯმენტის პარარელურად სწავლობენ საავიაციო მენეჯმენტის საფუძვლებსაც. აკადემიური პერსონალმა, დამსაქმებელმა, ყველამ დაადასტურეს, რომ ის სტუდენტები, რომლებსაც მათგან იღებენ არიან დარგში მცოდნეები, აქვთ სპეციფიკა და ამიტომ აჰყავთ. მაგალითად, საქართველოს ავიახაზები, რომლის დირექტორმაც აღნიშნა, რომ კონკრეტულად ეს დამსაქმებელი იმიტომ იყვანს დაწესებულებიდან სტუდენტებს, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა.
გარდა იმის, რომ ასწავლიან ავიაცის დარგის საგნებს, აქვთ არჩევითში საგნებში ავიაციის დარგის საგნები, აქვთ ასევე, პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი.
პროგრამის მიზანში რაც უწერიათ ის არის ბიზნესის ადმინისტრირების მენეჯმენტის კუთხით. შესაბამისად, მიზანში უწერიათ ის კონკრეტული პარამეტრები, რომლებსაც მენეჯმენტზე გაჰყავს სტუდენტი, ხოლო შედეგებში უწერიათ, რომ ავიაციის დარგის შესაბამისად უნდა მოხდეს

შედეგებზე გასვლა. პროგრამა არის ზოგადი მენეჯმენტის, თუმცა მასში ავიაციის კომპონენტებიც არის გათვალისწინებული, რაც აძლევთ მათ საშუალებას პროგრამაას არ შეეცვალოს სახელწოდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ კომისიის შეფასებაში მეათე გვერდზე ვკითხულობთ: „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დაადასტურეს დაინტერესებულმა მხარეებმა: კერძოდ, აკადემიურმა პერსონალმა, მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა (რომელიც მათ ყველაზე მეტად აინტერესებთ.“ კიდევ ერთხელ ადასტურებენ ამ ფრაზას, რომ ყველა მხარე ჩართული იყო პროგრამების შემუშავების / განვითარების საკითხებში, მათ შორის დამსაქმებლებიც. უფრო მეტიც, მათი თანამშრომლობის ხარისხი დარგის წამყვან კომპანიებთან იმდენად მაღალია, რომ მათ მარტივად შეძლეს, მათ შორის ავიასაწარმოების პირველი პირების ონლაინ დასწრება კომისიის საჭიროებებისათვის. უფრო კონკრეტულად, შეხვედრას ესწრებოდა კომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ გენერალური დირექტორი, რომელმაც დაადასტურა არამხოლოდ თანამშრომლობის უმაღლესი დონე მათ დაწესებულებებს შორის, არამედ ის რომ: - მათი თანამშრომლების უმრავლესობა სწორედ საავიაციო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან. სიხარულით აღნიშნავენ, რომ სიამოვნებით აჰყავთ საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტები სტაჟირებაზე, აქვთ გამოყოფილი სახელობითი სტიპენდიები საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, საავიაციო უნივერსიტეტის და ნებისმიერი სხვა უნივერსიტეტის თანაბარი შესაძლებლობის კანდიდატებს შორის უდაოდ აირჩევდნენ საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტს. როგორც ოქმებით, ასევე ვიოდეო მასალებით დასტურდება დამსაქმებლების ჩართულობა. ეს მჭიდრო თანამშორმლობა გამოწვეულია იმით, რომ დაწესებულება იმ საქმიანობას ახორციელებს რაც დამსაქმებლებისთვის არის საჭირო. დამსაქმებლებს საავიაციო კუთხით სპეციფიკური განათლება სჭირდებათ. დამსამქმებელთა პირველი პირების ჩართვაც ადასტურებს აღნიშნულს.

მესამე რეკომენდაციას რაც შეეხება, თვლიან, რომ სილაბუსი სტანდარტს შეესაბამება და თუ პრობლემა ფორმულირებაშია ეს შეიძლება რჩევაში ყოფილიყო გათვალისწინებული და არა რეკომენდაციაში.

მე-4 რეკომენდაციასთნ დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა თითოეული საკითხი განმარტა ცალ-ცალკე:

- **ოპერაციათა მენეჯმენტის** სასწავლო კურსში ნამდვილად არსებობს უფრო ახალი, 2017 სახელმძღვანელო, ბატონი გელა გრიგოლაშვილის მიერ დამუშავებული (რომელიც თავად გახლავთ საავიაციო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი), თუმცა არსებობს ორი გარემოება, პირველი, მათ მიერ გამოყენებული 2013 წლის წიგნი არ არის „მოძველებული“ და მეორე, წიგნების შინაარსი ფაქტობრივად იდენტურია.

- **სტრატეგიულ მენეჯმენტში,** სილაბუსში მითითებულზე უფრო ახალი ნებისმიერი ფორმით გაყიდვაში ხელმისაწვდომი საერთაშორისოდ აღიარებული წიგნი ქართულ ენაზე არ არსებობს, არც ფიზიკური და არც ელექტრონული ფორმით. 2010 წლის ა. ტომპსონის სტრატეგიული მენეჯმენტის ქართულენოვანი ვარიანტი კი გახლავთ ფართოდ აღიარებული სახელმძღვანელო და სრულ შესაბამისობაშია ამ სასწავლო კურსის თანამედროვე მოთხოვნებთან. უნივერსიტეტს ურჩევნია იხელმძღვანელოს სწორედ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელოთი და არ განახორციელოს ცდები სასწავლო პროცესში, განსაკუთრებით სადაც ამისი საჭიროება არ არსებობს.

- **ადამიანური რესურსების მენეჯმენტში** მართლაც არსებობს უფრო ახალი 2016 წლის ნაშრომი, თუმცა მთავარი აქცენტი სილაბუსში ინგლისურენოვან 2018 წლის ნ. რეიმონდის სახელმძღვანელოზე კეთდება, რომელიც სილაბუსში მითითებულ ქართულენოვან სახელმძღვანელოსთან ერთად უფრო ეფექტურ კომბინაციად იქნა მიჩნეული. სამივე სილაბუსის შემთხვევაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქცენტი გაკეთებულია საეთაშორისოდ აღიარებულ სახელმძღვანელოებზე, რომლებიც სტუდენტებს ზუსტად იმ სწავლის შედეგებზე გაიყვანენ, რაც საუკეთესო პრაქტიკაშია მიღებული. ხოლო თუ მათ დაავალდებულებენ

ნაკლებად ცნობილი და ნაკლებად აღიარებული, თუმცა ფორმალურად შედარებით ახალი წიგნების გამოყენებას, გასათვალისწინებელია, რომ სწავლის დასახულ შედეგებზე გასვლაც შეიძლება გართულდეს, როგორც მინიმუმ შეიძლება გაუარესდეს ხარისხი. ცნობილი ავტორების, ცნობილი სახელმძღვანელოები სწორედ იმიტომ არის საუკეთესო რესურსი მიზნის მისაღწევად, რომ ის უკვე მრავალჯერაა წარმატებით გამოცდილი და მათ სურთ სწორედ აპრობირებულ წარმატების გზაზე სიარული.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასაც გაუჩნდა შენიშვნები საბაკალავრო ნაშრომების გაცნობის შემდგომ და სწორედ ამ მიზნითა და მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავდა საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი. შესაბამისად, მიმდინარე სემესტრში შესრულებული საბაკალავრო ნაშრომების მიმართ მოთხოვნილი იქნება ყველა ის სტანდარტი, რაც მოცემულია სილაბუსში და ,,საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესში“. კომისია ადასტურებს, რომ აღნიშნული საკითხი დროულად იქნა გამოვლენილი და რეაგირება პროაქტიულადაა მოხდენილი პროგრამის ახალი ხელმძღვანელის მიერ. შესაბამისად მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ ამ საკითხის რეკომენდაციათა ნაწილში ასახვა. საკითხი გამოსწორებული იყო კომისიის მობრძანებამდე და უნივერსიტეტი მოცემულ სემესტრში უკვე ხელმძღვანელობს „საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების და დაცვის“ განახლებული სტანდარტით. კარგი იქნებოდა ახალი წესით დაცული საბაკალავრო ნაშრომი, თუ მოთხოვნაა, რომ ხარვეზი გამოსწორდეს ხარვეზი უკვე აღმოფხვრილია.

მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვერ მოიპოვეს სხვა მექანიზმი, როგორ უნდა ყოფილიყო პროგრამის თანამშორმლების გადაადგილება, რომ არ აესახა ის შესაბამის მუხლებში. თუ პირობითად მოწვეული პროფესორი გახდა ასოცირებული პროფესორი, ჩათვალეს, რომ -1, ანუ იქ არ ჰყავთ მოწვეული პროფესორი და ასოცირებული პროფესორების ნაწილში დაემატა. სხვა მეთოდოლოგია ვერ მოიძიეს. ცენტრთანაც ჰქონდათ კონსულტაცია. პასუხად მიიღეს, რომ ასეთი მეთოდოლოგია არ არსებობს, უბრალოდ თავად უნდა ჰქონოდათ მიდგომა რითაც ახსიან როგორ შეავსეს. რატომღაც ეს არასწორად იქნა გაგებული ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ. ეს ადამიანები არ არიან ისინი ვინც უნივერსიტეტი დატოვეს. უბრალოდ მათ ერთი პოციზიიდან გადაინაცვლეს მეორე პოზიციაზე. სინამდვილეში ბალანსი დაცულია, ჯამურად უფრო მეტი ახალი კადრი ჰყავთ ვიდრე წასული. ნაწილი იყო მათივე რესურსით გადანაცვლებულია მოწვეული პერსონალიდან აკადემიურ პერსონალში, ნაწილი უკვე გარედან არის მოსული.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციაში წერია, რომ უნდა შეიმუშაონ ინტერნაციონალიზაციის გეგმა, ხოლო მათ კი უკვე შემუშავებული აქვთ (რასაც თავად ადასტურებენ ექსპერტები). კერძოდ, შემუშავებულია ინტერნაციონალიზაციის გეგმა, რომელიც მოიცავს პროფესიულ განვითარებასაც და სადაც გაწერილია კონკრეტული სამიზნე ნიშნულები, მათ შორის არამხოლოდ პერსონალისთვის, არამედ სტუდენტებისთვისაც.
ბოლო 1 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში:
- ჩატარდა 10-ზე მეტი საჯარო ლექცია, მათ შორის მოწვეულნი იყვნენ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ხელმძღვანელი, იაპონიის და იტალიის ელჩები, ბიზნეს ომბუდსმენი, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელი და მრავალი სხვა. თითოეული შეხვედრას საკმაოდ დიდი რაოდენობით მსმენელი ჰყავდა და თითოეული შეხვედრის ამსახველი ფოტო მასალა ატვირთულია უნივერსიტეტის „ფეისბუქ“ გვერდზე;
 - უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის პერიოდშიც კი უნივერსიტეტმა შეძლო და ჩაატარა ონლაინ საერთაშორისო კონფერენცია. სადაც მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილები იყვნენ,

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, Wizzair, My Way, ჯორჯიან ეარვეისი, GeoSky, სხვა ავიაკომპანიები და საავიაციო ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კონფერენციამ გამოიწვია საკმაოდ მაღალი ინტერესი და ის ნახა 25 000- ზე მეტმა ინდივიდუალურმა მომხმარებელმა;
- ჩატარდა პროფესორების მომზადება-გადამზადების ტრენინგები, მათ შორის: აკადემიურ ნაშრომის შექმნაში, საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებაში, პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვა;
- უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო კონფერენცია და გამოიცემა შესაბამისი საკონფერენციო ჟურნალები;
- უნივერსიტეტში არსებობს სამეცნიერო ჟურნალი „საჰაერო ტრანსპორტი“ სადაც აკადემიური/მოწვეული პერსონალი უნივერსიტეტის დაფინანსებით ქართულ და უცხოურ ენებზე ახდენს სტატიების გამოქვეყნებას;
- გაფორმებული აქვთ Erasmus + ხელშეკრულება და წელს, რომ არა კორონავირუსი რამდენიმე სტუდენტი უკვე უნდა წასულიყო საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში;
რიგ საკითხებში კორონა ვირუსმა ხელი შეუშალა დაწესებულებას, თუმცა გეგმავენ ამ ღონისძიებების ონლაინ რეჟიმშ განხორციელებას.

ბოლო რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ: „რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, იგი მიმართულია პროცესების შეფასების, ხარვეზების იდენტიფიცირების და მათი გადაჭრის გზების მოძიებისკენ. აღნიშნულის საფუძველზე ხორციელდება ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლი, რომელიც შრომის ბაზრის კვლევის, შემუშავებული კითხვარების ან ფოკუს ჯგუფების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე განსაზღვრავს პროგრამის გასავითარებლად საჭირო ცვლილებების დაგეგმვას და დანერგვას. ამავე დოკუმენტებში მოცემულია საგანამანთლებლო პროგრამის შეფასების ძირითადი აქტივობები, როგორებიცაა სასწავლო კურსების, კურსის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მატერიალური რესურსის შეფასება, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს განმავითარებლი აქტივობების განსაზღვრა - დაგეგმვა. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულნი არიან როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით პროგრამაში აისახა დაინტერესებული მხარეების მხრიდან შემოთავაზებული თვალსაზრისების საფუძველზე განსაზღვრული ცვლილებები, როგორებიცაა ინგლისური ენის კომონენტის, პროექტების შემუშავებისა და მართვის, საოფისე პროგრამების, თვითმენეჯმენტის ცოდნისა და უნარების განმავითარებელი კომპონენტები. პროგრამის სავალდებულო სასწავლო მოდულს დაემატა აკადემიური წერა, ექსპორტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდები ბიზნესში.
თვლიან, რომ კომისიის მიერ თვითონვე აღნიშნულ შეფასებებში ნათლად არის წარმოჩენილი ის ფაქტი, რომ დაწესებულება უკვე ახორციელებს რეკომენდაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია არათუ ბუნდოვანი და გაუგებარია არამედ უფრო მეტიც, მათი აზრით აღნიშნული რეკომენდაცია ფორმალურად შეუსაბამოა იმ ტექსტთან, რომელიც კომისიამ თავად მოიყვანა პროგრამის ძლიერი მხარეების დასახასიათებლად.
ექპერტმა ეკა ლეკიშვილმა დააზუტა, რომ დარგობრივი მიმართულებით უნივერტეტი მუშაობს და პროგრამები არსებობს, ისინი ყოველთვის იმუშავებენ ამ პროგრამების მხარდასაჭერათ. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი უკუკავშირი მიიღეს, მაგრამ დასკვნაში ცვლილებები არ შეუტანიათ, რადგან მკაფიოდ ვერ დაიჭირეს ის მოთხოვნები რაც დასკვნაშია ჩამოყალიბებული. მაგალითად, პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა არის ვიწრო

მიმართულებით, ხოლო მიზნები არის ფართო მიმართულებაზე გათვლილი, ეს ნიუანსია ხაზგასასმელი. ლიტერატურასთან დაკავშირებითაც, არის 2010, 2011 და 2013 წლის ლიტერატურა, სტრატეგიულ მენეჯმენტში არის თარგმნილი ლიტერატურა და შეუძლიათ ესეც ჩართონ პროგრამაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნებში არ წერს კონკრეტულ წიგნებს, მაგრამ ახლა იძულებული გახდა განემარტა რომ არსებობს ლიტერატურა და დაწესებულებას შეუძლია ნახოს და ჩართონ მასალებში.
რაც შეეხება სხვა დანარჩენ რეკომენდაციებს, ერთი მხრივ არის წესები, დოკუმენტები და არის მეორე მხარე როგორ სრულდება და რა შედეგია სახეზე. რადგან შედეგი ჯერ არ ჩანს, ამიტომ ვალდებულები იყვნენ საბჭომდე მოეტანათ ეს კონკრეტული რეკომენდაციები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.**

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ სილაბუსებზე დაყრდნობით, რომლებიც წარმოდგენილია ისაუბრა პროგრამის შინაარსობრივ საკითხებზე. მან განმარტა, რომ სილაბუსები საკმაოდ კარგად არის გაკეთებული, პროგრამაც აწყობილია. თუ არ ჩავთვლით საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტს. შეიძლება უტრირებულად ითქვას, რომ პროგრამის შემდგენელ პროფესორებს ავიაცია ნაკლებად უყვართ, რადგან საგნებში საჰაერო ტრანსპორტთან, ავიაციასთან ბმა ნაკლებად იგრძნობა. მისი რჩევა იქნება, რომ ეს განსაკუთრებით ძირითად საგნებში აუცილებლად უნდა ჩანდეს.
ის ნაწილობრივ ექსპერტთა მოსაზრებებსაც ეთანხმება და დაწესებულებისასაც.
პირველ რიგში, პროგრამის დასახელებასთან დაკავშირებით საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი არის სახელწოდება და კვალიფიკაცია ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში. ამ ნაწილში ეთანხმება ექსპერტთა მოსაზრებას, რადგან არის სპეციფიკური უნივერსტეტი, მიზანი გააზრებული უნდა იყოს.
რაც შეეხება საგნებს, ყველა ძირითადად კარგად არის წარმოდგენილი თუ არ ჩავთვლით საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტს.
რაც შეეხება ინფორმაციული ტექნოლოგიები ერთს, მიზნებში უნდათ, რომ ფართო მიზნები გამოჩნდეს, მიზანში წერია ინფორმატიკის საფუძვლების შესწავლა ეს არ შეიძლება იყოს “Power point” და „ვორდის“ საგნის შემსწავლელი მიზანი.
ბიზნეს საფუძვლებს რაც შეეხება, საგნის სტრუქტურა კარგია, ოპერაციები სამართლებრივი მხარე დაბალანდებულია. ექსპერტის გულისტკივილს რაც შეეხება, ეთანხმება, რომ საკმაოდ მაღალი თამასა აქვს სილაბუსის ავტორს აღებული. ფაქტობრივად სტუდენტმა ამ საგნის გავლის მერე ყველაფერი იცის. შეიძლება ამის კონსტანტირება მარტივ ფორმებში. ამ საგნის მთავარი პრობლემა და არა მარტო ამ საგნის თითქმის ყველა საგნის, არის ის რომ საერთოდ ავიაცია არ არის ამ საგანში. უნდა იყოს „ქეისები“ ავიაციის მიმართულებით.
მარკეტინიგის საფუძვლები, ოპერაციათა მენეჯმენტი კარგია. მაგრამ კავშირში არაა საჰაერო ტრანსპორტთან, რეალურად სილაბუსები იძლევა შთაბეჭდილებას, რომ სტატიკურია. ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებაც სწორედ ავიაციის კუთხით უნდა იყოს კონცენტრირებული. იგივე ითქმის ოპერაციათა მენეჯმენტზე, უნდა იყოს აგებული საჰაერო პრანსპორტის უზრუნველყოფის მენეჯმენტზე, ზოგად ოპერაციათა მენეჯმენტის სწავლება ჩაის ფაბრიკის მენეჯმენტზე შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი, ის შეიძლება იყოს ზოგადი, მაგრამ უნდა იყოს „ქეისები“. დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა, რომ ბევრი მოწვეული სტუმარი მოჰყავთ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ომბუდსმენი, მაგრამ მისი აზრით ბაკალავრიატზე უნდა მიიყვანონ, ბორტგამცილებელი, საბარგო ჩატვირთების მენეჯმენტი, ეს არის რეალურად ტრანსპორტის მენეჯმენტი. სტუდენტები უნდა გადიოდნენ იმ საკითხებს, თუ როგორ ხდება საჭმლით ურუნველყოფა, როგორ ხდება შემოწმება. მნიშვნელოვანია სამართლებრივი საგანი, აქ რეალურად უნდა იყოს არა კოოპერატივებზე აქცენტი, არამედ იმაზე თუ როგორ ხდება ფრენის უფლების მოპოვება, მგზავრების დაზღვევის რეგულირება. საქართველოს საჰაერო ცაზე არ

იყვნენ დაზღვეულები, არ იყო რეგლამენტირებული ავიაკატასტროფის დროს როგორ ხდებოდა დარეგულირება. ბარგის დაკარგვის დროს როგორ ხდება ანაზრაურება. ამაზე უნდა იყოს აქცენტები გამახვილებული. ლიზინგი არა მხოლოდ სამართლებრივი უკუთხით უნდა იყოს განხილული, არამედ ფართოდ. ბევრი ავიაკომპანია ლიზინგზეა აწყობილი. ასევე, მიზანშეწონილი იქნება ძირითად საგნებს დაემატოს მომხმარებელთა უფლებების მართვა. რისკების მართვა ძალიან მნიშვნელოვანია, ავტომატური სისტემები, როგორ ხდება ამ სისტემების გამოყენება. რეალურად ბაკალავრიატი კიდევ უფრო ცოცხალი უნდა იყოს, სკოლადამთავრებულები მოდიან და რეალურად უნდა აჩვენონ რა სფეროში მოუწევთ საქმიანობა. სილაბუსები კარგადაა შედგენილი, მაგრამ „ქეისები"-ს გარეშე სრულყოფილი ვერ იქნება. უამრავი საერთაშორიოს „ქეისია" და შეიძლება იყოს ძალიან საინტერესო.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა, დააზუსტა, დაახლოებით რამდენი ხანია პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული ამ პროგრამაში. დაწესებულებისგან მიიღო პასუხი, რომ როგორც ხელმძღვანელი დაახლოებით ერთი წელი და თავად პროგრამის შემუშავებაში იყო სრულად ჩართული. პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის განათლება მენეჯმენტის კუთხით არ არის და პროგრამის მიზნებზე, რომ ვსაუბრებოთ კარგი ეკონომისტი ვერ იქნება მენეჯმენტის პროგრამის განმახორციელებელი და პირიქით. დარგის მიმართულებით, პროგრამაში არის მხოლოდ ერთადერთი სილაბუსი, მხოლოდ ამ სილაბუსში არ არის ძირითადი ლიტერატურა მითითებული.
ტექნიკურად, რომ იდავონ კვალიფიაცია რასაც ანიჭებს, ინსტიტუცია მართალია, მენეჯმენტის კვალისიკაციას ანიჭებს და პროგრამის "კონტენტი" ამის საშუალებას აძლევს. მაგრამ აქ საუბარია რამდენად თავსებადია უნივერსიტეტის მიმართულებასთან და დარგობრივი სპეციფიკა არ ჩანს. რატომ არ სურთ, რომ ის დაარქვან რაც რეალურად არის პროგრამა? მოკლედ, რომ აღნიშნოს, კვალიფიკაცია არის ზოგადი, დარგობრივი სპეციფიკა არ ჩანს, მივდივართ მენეჯმენტის ქვე კვალიფიკაციაზე. იმედგაცრუება ნახა იმ კუთხით, რომ ამ სილაბუსში ლიტერატურა არაა მითითებული და შესაბამისად არ ჩანს რა ისწავლება. იზიარებს გიორგი თურქიას მოსაზრებებს და ექსპერტების გარკვეულ მოსაზრებებსაც.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა რჩევის კუთხით გააკეთა კომენტარი, რომ პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით, ჩანს, რომ ეს პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის სამყაროს ფართო ცოდნაზე. მიზანში ვხედავთ ცოდნას და უნარებს, თუმცა არაფერია ნათქვამი პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე, შესაბამისად დასაკორექტირებელი იქნება მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა. იმიტომ, რომ მიზნის ის მესამე ნაწილი, რომლითაც შესაბამისობას მყარდება 3.1. და 3.2 შედეგთან არაა შესაბამისობაში. გადასახედი და დასაკორექტირებელია კურიკულუმის რუკაც, მთელი რიგი საგნებია, რომლებიც ცოდნასა და გამოცდილებაზე არ გადიან ანუ ეს ბმა კურიკულუმის რუკიდან არ იკვეთება. ასევე ეს რუკა დაეხმარებათ სწავლის შედეგების შეფასებაშიც, თუ შეხედავენ შედეგს ნახავენ, რომ არც ერთი სასწავლო კურსი არც აცნობს, არც აღრმავებს, უბრალოდ პრაქტიკა პირდაპირ ამტკიცებს ამ შედეგს რასაც ჰქვია პასუხიმსგებლობა და ავტონომიურობა.
ზოგადად ფიქრობს სწავლის შედეგებში უფრო მეტად გამოკვეთილია ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის ნაწილი რაც ასე მნიშვნელოვანია სფეროსთვის. ალბათ შედეგების ეს ნაწილი უნდა იყოს შედარებით უფრო გამოკვეთილი.
საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ განმარტა, რომ კვალიფიკაციის კოდი მინიჭებულია მინისტრის N69/ნ ბრძანების შესაბამისად და აპელაცია არგუმენტირებულ პოზიციაზე ზუსტად ამას ეფუძნება. თუმცა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი არის გასაახლებელი და გადასახედი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვახტანგ ჭარიამ განმარტა მის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რომ არის ეკონომისტი, მენეჯმენტის კუთხით აქვს პრაქტიკული გამოცდილება სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციებზე, შესაბამისად არ ფიქრობს, რომ ბაკალავრიატის

მენეჯმენტის პროგრამის მართვის უნარები მას არ ჰქონდეს, კვალიფიკაციაც აქვს, შესაძლებლობაც. რაც შეეხება დასახელებას აქ იკვეთება ბევრი საკითხი, ისინი ამბობენ, რომ ისინი ამზადებენ მენეჯერს, ბაკალავრს ბიზნეს ადმინისტრირებაში, კვალიფიკაციათა ჩარჩოს აკმაყოფილებენ ამის იქით არიან საავიაციო უნივერსიტეტი, აქვთ ისტორიული გამოცდილება, მარკეტინგული პოზიციონირება, დამსაქმებელების გამოკითხვით იკვეთება, რომ სტუდენტები ფლობენ ავია დარგის სპეციფიურ ცოდნას, ეს იკვეთება დამსაქმებელებიდანაც.

ნიკა თიკანაშვილმა ყურადღება გაამახვილა, რომ მართალია არაა ამ პროგრამაში ჩართული, მაგრამ კითხულობდა საგანს ავიაციის საფუძვლებს. შესაბამისად, ის, რომ პროგრამა ავიაციასთან არაა დაკავშირებული ასე არაა. აღნიშნულ საგანში გათვალისიწიებულია ყველა ის საკითხი რაც გიორგი თურქიამ დასვა, აეროპორტის სტრუქტურაზე, უშუალოდ მენეჯმენტზე, არის „ქეისები“. მაგალითად, ბიზნეს კონფლიქტები და მოლაპარაკები. სტუდენტები პრაქტიკებს გადიან საავიაციო კომპანიებში. პროგამის მიზნებს რაც შეეხება, პროგრამა მიზნებიდან დამსაქმებელების მოთხოვნებიდან გამომდინარე სწორედაც, რომ ავიაციის მენეჯმენტის სახელწოდებას შეესაბამება, ეს დასტურდება სხვა ქვეყნების პრაქტიკებითაც, მაგალითად, უკრაინაში ლატვიაში. მათი „კონტენტი“, რომ ვნახოთ სამი, ოთხი საგნით გადის კვალიფიკაციაზე. სამაგისტროზე კრედიტების რაოდენობა როგორც კლასიფიკატორი ითხოვს უნდა იყოს ნახევარზე მეტი. ის ჩანაწერი, რომ საგანმანათლებლო პროგრამას აუცილებლობა იყოს განვითარების გეგმა ჰქონდეს არ მოითხოვება და მაშინ ყველა პროგრამას უნდა მოეთხოვოს.
დაწესებულების წარმომადგენელმა დავით ტეფნაძემ „ქეისებთან“ დაკავშირებეით განმარტა, რომ ის, რომ მითითებული არაა არ ნიშნავს, რომ არ ასწავლიან. მათ პროფესორებს უშუალო პრაქტიკიდან გამომდინარე აქვთ ეს „ქეისები“, რაც წიგნებში არ გვხვდება.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სავარაუდოდ ტექნიური ხარვეზია საგანთან დაკავშირებით ძირითადი ლიტერატურა განსაზღვრულია. დაზღვევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაზღვევის მოთხოვნები არსებობდა, უბრალოდ ევროკავშირთან დაახლოების გზაზე ეს მოთხოვნები გამკაცრდა და დაემატა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა დაახლოებით რამდენი კურდამთავრებული ჰყავთ ხოლმე და რა არის დასაქმების მაჩვენებელი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 60 დან 100 ადამიანამდე, საკმაოდ დიდი პროცენტულობა ამთავრებს. დასაქმების მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალი იყო ბოლო დროს გამოცხადებულ პანდემიამდე.

**მეორე პროგრამის ზეპირი განხილვა.**
**ექსპერტთა მოსაზრება.**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 2.1, 2.2 , 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 3.2, 4.3, 4.3, 5.2, 5.3 შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო 1.2, 2.3, 4.1, 4.2 და 5.1 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, გაცემული რეკომენდაციები:

1. დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს მექანიზმი, რომელშიც განისაზღვრება სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების ფაქტობრივად მიღწეული შედეგების, არაპირდაპირ შეფასებაში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების მონიტორინგისა და სამიზნე ნიშნულებთან დადარების მეთოდები.
2. მკაფიოდ გაიმიჯნოს სასწავლო კურსების (სტრატეგიული მარკეტინგი, აკადემიური წერა) სწავლის შედეგები, შინაარსი და ძირითადი ლიტერატურა ბაკალავრიატის საფეხურის მსგავსი სასწავლო კურსებისგან და მოერგოს სამაგისტრო საფეხურს.

3. მდგრადი ხასიათი შეიძინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის
დაცვის, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდისა და დენადობის მაჩვენებლის შემცირებისკენ მიმართულმა აქტივობებმა, რომლებიც განსაზღვულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით და რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას.
4. დაწესებულებამ შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური უწყვეტი პროფესიული განვითარების და მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვას. ასევე, მნიშვნელოვანია უსდ-მ იზრუნოს მოწვეული პერსონალის აკადემიური უნარების უწყვეტ განვითარებაზე, თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვაზე და უსდ-ს საქმიანობაში მათი მეტად ჩართვასა და მოტივაციის გაზრდაზე.
4. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შემუშავდეს პროგრამის
განვითარების სტრატეგიული გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა ითხოვა ყურადღება გაემახვილებინათ მე-2 რეკომენდაციაზე, რადგან სხვა რეკომენდაციები პირველ პროგრამაში არსებულს ემთხვეოდა და მეორდება, შესაბამისად უკვე ნასაუბრები ჰქონდათ.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ განმარტა, რომ სწავლის შედეგების შეფასებას რაც შეეხება ეს არის ახალი სტანდარტების მოთხოვნა. შესაბამისი მექანიზმი დაიწერა, შედგა, რომელიც გულისხმობს ყველა იმ დაინტერესებული მხარის მონაწილეობას, როგორიც არის სტუდენტი, დამსაქმებელი. ეს მექანიზმი აუცილებლად გულისხმობს დამსაქმებლის მხრიდან შეფასების გაკეთებას. ამ მექანიზმის არსებობამდე დამსამებლებთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ, რაც დასტურდება ასევე „ფეისბუქ“ გვერდზე არსებული პოსტებით. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებთ აღნიშნა, რომ უნდა შენარჩუნდეს ეს სიტუაცია.
მეორე რეკომენდაციას რაც შეეხება, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ამ ორი საგნისთვის გამოყენებულია სხვადასხვა ლიტერატურა. არის გარკვეული განსხვავებებიც. კოტლერის სახელმძღვანელო აბსოლუტურად რელევანტური წინგნია მარკეტინგის საფუძვლების შესასწავლად, ისევე როგორც გალიკინის და ჩერნევის სტრატეგიული მარკეტინგის წიგნებია რელევანტური სტრატეგიული მარკეტინგისთვის. რაც შეეხება თანაკვეთას, სავარაუდოდ კითხვის ნიშნებს იწვევს პორველი ორი თავი სადაც ორივე შემთხვევაში მარკეტინგის არსის და კონცეფციების შესახებ არის საუბარი.
მცირე თანაკვეთასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ მარკეტინგის სტრატეგიასა და სტრატეგიულ მარკეტინგს შორის რადიკალური განსხვავებაა და ისინი არანაირად არ შეესაბამება ერთმანეთს; რადგან ორივე წინადადებაში სიტყვა სტრატეგია ფიქსირდება არ ნიშნავს რომ ეს ერთი და იგივე ფენომენია.
შინაარს რაც შეეხება საგულიხსმოა, რომ აქ შეიძლება გაუგებრობას იწვევდეს ის ფაქტი რომ ორი სილაბუსში გვხვდება საერთო აქცენტები: მარკეტინგული გარემო, მარკეტინგული გეგმა, სამიზნე აუდიტორიების იდენტიფიცირება, ბაზრის სეგმენტიზაცია, პროდუქტის პოზიციონირება, ბაზრის კვლევა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული მარკეტინგი ამ ყველა ფენომენს განიხილავს და წარმოაჩენს სტრატეგიულ კონტექსტში, რაც პირდაპირ არის მითითებული სილაბუსში: "სასწავლო კურსის მიზანია განიხილოს სტრატეგიული მარკეტინგული კონცეფციის მნიშვნელოვანი პოსტულატები: მარკეტინგული გარემო, მარკეტინგული გეგმა, სამიზნე აუდიტორიების იდენტიფიცირება, ბაზრის სეგმენტიზაცია, პროდუქტის პოზიციონირება, ბაზრის კვლევა და ა.შ, სტრატეგიულ კონტექსტში, რათა ნათელი მოვფინოთ იმ პროცესს რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტული უპირატესობის (competitive advantage) მოპოვებას სტრატეგიული მარკეტინგული მიდგომების გამოყენებით." აქვე

აუცილებელია შემფასებელმა გამიჯნოს განსხვავება მარკეტინგის სტრატეგიასა და სტრატეგიულ მარკეტინგს შორის. აქვე აუცილებელია გავიაზროთ, რომ საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტზე დაშვება არ არის შეზღუდული, შესაბამისად მარკეტინგში იქნება თუ სხვა სასწავლო კურსებში, პირველ თავში დამთხვევა არათუ უნდა იყოს აკრძალული, არამედ პირიქით სავალდებულო, იმისთვის რომ სტუდენტმა საგნის შესავალი სპეციფიკა კარგად გაიაზროს. ხოლო იმათთვის ვისაც შეიძლება ეს საკითხი ნაცნობი იყოს, არ და ვერ დაზარალდება ცოდნის გამეორებით. უფრო მეტიც, სასწავლო მასალა 14 კვირაზეა გადანაწილებული და 1 ან თუნდაც 2 კვირის დამთხვევა 7-14%-ს არ აღემატება, რაც სავსებით მისაღებია.

რაც შეეხება აკადემიური წერას, აკადემიური ნაშრომის ძირითადი ასპექტისა და ნაშრომის მიმართ არსებული მოთხოვნის ცოდნა შინაარსით მკვეთრად განსხვავებულია ორივე დონეზე. საბაკალავრო კურსში ასწავლიან დამწყებთათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. რომლებიც გულისხმობს საკვლევი თემის შერჩევას, კონკრეტულ საკითხად დაშლას, მიზნის განსაზღვრას, დაგეგმვასა და სანდო წყაროების მოძიებას. სამაგისტრო კურსში კი ზემოთ ხსენებული თემები უფრო ღრმად ისწავლება, რადგან საკვლევი არეალი არის უფრო ფართო. სტუდენტს ევალება საკვლევ თემაზე არა მხოლოდ ლოგიკური მსჯელობა და ანალიზი, (რაც საბაკალვრო დონეზე უმთავრესი მოთხოვნაა), არამედ პრობლემური საკითხის, საკვლევი სფეროების დანახვა, აღმოჩენა. შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, მისი სწორად წაკითხვა. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის წარმართვისას ერთმანეთისგან განსხვავდება ასევე დამუშავების დრო, მოცულობა და კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია. სამაგისტრო ნაშრომში სტუდენტმა უნდა გამოავლინოს პრობლემის გადაჭრის ახალი, ორიგინალური მეთოდების შემუშავება/გამოყენების უნარი. რაც შეეხება არგუმენტირებულ მსჯელობას. მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი დებულების დასამტკიცებლად საჭიროა არგუმენტი. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს გაცილებით დიდია მასალა(წყარო), შესაბამისად, მრავალი არგუმენტი და კონტარგუმენტია. ამიტომ აუცილებელია სალექციო დრო დავუთმოთ ვარაუდების ჩამოყალიბებას, შემდეგ კი მტკიცებულებად კვლევის არგუმენტების დაჯგუფებას. რაც შეეხება ტექსტის გაფორმებასა და სათანადო ციტირების უნარს. მოგეხსენებათ, ეს საკითხები ფუნდამენტურია როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას და შეგნებულად გავიმეორე სამაგისტრო სილაბუსში, რადგან ხშირად სტუდენტებს ეს თემა არ აქვთ შესწავლილი და დამუშავებული (ზოგიერთ უნივერსიტეტში აკადემიური წერის საბაკალავრო კურსში მხოლოდ საქმიანი ქაღალდების წერა ისწავლება), ამიტომ აუცილებლად ვთვლი ამ უმნიშვნელოვანეს თემაზე ყურადღების გამახვილებას.
რაც შეეხება დავალებებისა და პრაქტიკულების სირთულეს. სამაგისტრო დონეზე ძირითადი ლიტერატურაა მაგისტრებისთვის შექმნილი სპეციალური სახელმძღვანელო: “აკადემიური მუშაობის საფუძვლები: პრაქტიკული სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის“. მასში თავმოყრილია აკადემიური წერის სწავლების შდეგად დაგროვილი გამოცდილება, თანამედროვე ქართული და საერთაშორისო მასალა, რომელსაც თან ახლავს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სავარჯიშო.(სახელმძღვანელო შექმნილია 2018 წელს და ერასმუს პლუსის ინსტიტუციური განვითარების პროექტია). ამას გარდა, სტუდენტები მთელი სემესტრი მუშაობენ სამაგისტრო ნაშრომის მცირე მოდელზე, რომელიც უნდა წარადგინონ სასწავლო კურსის დასრულებისას.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ეთანხმებიან იმ კუთხით, რომ შეიძლება პროგრამაზე ის პირი ჩაირიცხოს ვისაც წინარე განათლება არ აქვს, შესაბამისად არაა სასურველი ბაკალავრიატში ნასწავლი საკითხი არ იყოს გამეორებული სამაგისტრო პროგრამის ნაწილში. აკადემიური წერის თანაკვეთის საკითხს რაც შეეხება, აკადემიურ წერაში ათი სწავლის შედეგიდან 7 იმეორებს ბაკალავრიატის სწავლის შედეგს.

ექსპერტმა განმარტა, რომ ბაკალავრიატისგან განსხვავებით ნაშრომები სამაგისტრო დონეზე შესაბამისად არის შესრულებული და რეკომენდაციაში შეტანის აუცილებლობა ვერ დაინახეს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიურ წერასთან მიმართებით, სილაბუსის გადახედვის შემთხვევაში სახელმძღვანელო ერთია, მაგრამ გვერდები და თემატიკა სხვადასხვაა, არის აპელირება, რომ თემები მეორდება. სასპეციალიზაციო ერთი გამოცდით ვერ შეამოწმებენ ყველა იმ სწავლის შედეგს რაც საჭიროა. ქართული რეალობიდან გამომდინარე, თუ ვიტყვით, რომ ყველა ვინც ამთავრებს სკოლას უნდა იცოდეს ინგლუსური A2 დონეზე, რეალობა აქაც ისაა, რომ შეიძლება უნდა იცოდეს ბაკალავრმა, მაგრამ არ იცის, ამიტომ თვლიან, რომ იმ მინიმალური დოზით რაცაა სილაბუსში მოცემული რელევანტურია.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზეც, როგორც პირველ პროგრამაზე იგივე აზრი სურს დააფიქსიროს, მიზნის და შედეგების შესაბამისობაზე და კურიკულუმის რუკაზე. ასევე, ექსპერტებს კითხვა დაუსვა, ისეთი პირი ხომ არ შეხვედრიათ ვინც არ აკმაყოფილებს ლექციების წაკითხვისთვის დადგენილ საკანონმდებლო მოთხოვნებს და კითხულობს ლექციებს.
ექპერტმა განმარტა, რომ გამოითხოვეს დოკუმენტაცია პერსონალზე, დეტალურად გაიარეს ეს დოკუმენტები და იმ სტანდარტების მიხედვით რაც მოეთხოვებათ, ყველა აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს. ასევე დაამატა, რომ დაწესებულებას საუკეთესო კომპეტენციის პერსონალი ჰყავთ შერჩეული საგნის წამკითხველად.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ ინსტიტუციის პოზიცია გასაგებია, რომ საკვალიფიკაციო გამოცდით ვერ მოხერხდება საკითხის დაბალანსება, მაგრამ მაშინ იგივე კომპენენტის ჩათვლა სტუდენტისთვის რაც ბაკალკავრიატზე აქვს გავლილი ესეც პრობლემაა. მაშინ საჭიროა ძირითადი და ასარჩევი საგნების კუთხით ამის დარეგულირება. მიზანშეწონილია სტუდენტს, რომელსაც აკლია რაიმე კომპეტენცია დამატებითი საგნებით შეივსოს და არა სავალდებულოთი. პროგრამის გადახედვის დროს მნიშვნელოვანია გამოყოს, შემდეგი საკითხები, ელექტრონული ბიზნესი აქვთ პროგრამაში, მიწოდების ჯაჭვი, მაგრამ არ აქვთ ლოგისტიკა, ლოგისტიკის გარეშე წარმოუდგენელია, მიწოდების ჯაჭვი არ მოიცავს ლოგისტიკას. გადახედა სხვადასხვა საერთაშორისო MBA პროგრამებს და რამდენიმე სახის რჩევა ჩამოუყალიბდა, რაც ფიქრობს, რომ დაეხმარება პროგრამას. მაგალითად, ისეთი საგნების/საკითხების დამატება, როგორიც არის, მრავალკულტურული მენეჯმენტი, მომსახურების სფეროს თანამშრომლების აყვანა ავიაკომპანიებში როგორ ხდება, ეკონომიკის თემა ძალიან საინტერესოდ აქვთ MBA პროგრამებს შეთავაზებული, რაც სტუდენტებს თვალსაწიერის გაფართოებაში ძალიან დაეხმარება. ასევე, ანალოგიებით MBA პროგრამებში შედის ასევე, (დაგეგმვის წესები) Sceduling Rules.

რექტორმა განმარტა, რომ პროფესიით არის მფრინავი, ასევე დამთავრებული აქვს მენეჯმენტი სააჰაერო ტრანსპორტი, მსჯელობისას ის შთაბეჭდილება დარჩა, რომ ბევრი სასარგებლო რჩევა მოისმინა, და გაითვალისწინებენ.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ, განმარტა, რომ პროგრამის შინაარსი კვალიფიკაციასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი. ექსპერტებს ჰკითხა შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები რომელ ლიტერატურაზე იყო დაფუძნებული. ასევე, რჩევა ექნება უნივერსიტეტთან, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე „ექსელს“ ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის ბაკალავრები კარგად ვერ ფლობენ, აქედან გამომდინარე რთული იქნება „ბიზნესის მოდელირების „ექსელში“ სწავლა-სწავლება. ურჩია გადაიტანონ მეორე სემესტრში და პირველ სემესტრში არჩევით კურსად შესთავაზონ “Applied excel” რაც უფრო გაუმარტივებს სტუდენტებს ამ კურსის ათვისებას. ასევე, გადასახედია კურსი კვლევის მეთოდები ბიზნესში. რადგან „სტატას“ კომპონენტების ათვისება 2-3 კვირისთვის რთულია და ეს დრო შესაძლებელია მხოლოდ პროგრამის ძირითადი

მახასიათებლების გაცნობისთვის დასჭირდეთ. ასევე, შესაძლებელია შეიცვალოს მითითებული ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად არის სოციალური მეცნიერებებისთვის გათვლილი, რადგან მიღების წინაპირობა ინგლიური ენაა, არსებობს არაერთი დარგის შესაბამისი სახელმძღვანელო.
ესპერტმა აღნიშნა, რომ სპეციალობის გამოცდა არ აქვთ, შესაბამისად ლიტერატურის მითითებაც არაა საჭრო.
დაწესებულების წარმომადგენელმა, საბჭოს წევრ პაატა ბრეკაშვილის კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უსაფრთხოება, ლოგისტიკა, მათ სილაბუსებში მოიაზრება, სახელმძღვანელოებშიც. თუნდაც სატვირთო გადაზიდვებში აეროპორტის ჰაბად მოწყობის. ასახულია რეალურად ეს საკითხები და არაა პროგრამის გარეთ. საბაკალავრო პროგრამაში არის უსაფრთხოების სისტემები და ხარისხის სისტემები, რომლებიც ავიაციაში ისეთი ტრენინგებია, რომლებიც თითოეულს მათგანს აქვს გავლილი, თუკი ძველ პროგრამებში ეს არ იყო გათვალისწინებული და უწევდათ შემდგომ კურსებზე ავიაკომპანიას პირადი ხარჯების გაღება. ახლა უკვე ამ პროგრამებში არის ეს უკვე ჩადებული, რომ დამატებითი ხარჯების გაღება აღარ დასჭირდეთ დასაქმებულ ადამიანებს.
ვახტანგ ჭარაიამ დაამატა, რომ გამოცდა აქვთ ინგლისურ ენაში, რადგან პროგრამა ამას საჭიროებს და ჩათვალეს ინგლისურში გამოცდა უფრო მიზანშეწონილად ვიდრე ყველა საგანში შემოწმება.
ამასთან, უნივერეტეტს აქვს ბაზა თელავში სადაც ფიზიკურადაც დაჰყავთ სტუდენტები, არათუ მოჰყავთ ბორდგამცილებლები, ეს კვეთები და შეხვედრების ორგანიზება ძალიან ხშირია.
საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ დააზუსტა, რომ რადგან პროგრამაში მიღების წინაპირობა ითვალისწინებდა, რომ სამაგისტრო გამოცდასთან ერთად იყო მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდა ყოფილიყო, ეს გამოცდა ეგონა ბიზნეს ადმინისტრიერების მიმართულებით. ასევე აღნიშნა, რომ რადგან სტრატეგიულ მარკეტინგს, კორპორაციულ სტრატეგიას, HR სტატეგიულ მართვას და კიდევ სხვა კურსებს არ აქვთ წინაპირობა, იმ შემთხვევაში თუ ბაზისური ცოდნა არ აქვს სტუდენტს და უნივერსიტეტი მისაღებ გამოცდაზე არ ამოწმებს სტუდენტის კომპეტენციას მისთვის შეუძლებელი იქნება ამ კურსების ათვისება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გასაუბრების ეტაპიც აქვთ, სადაც სტუდენტებს განემარტებათ არსებული მდგომარეობის შესახებ და ის სტუდენტი ვინც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და ვერ დაძლევს პროგრამას გასაუბრების ეტაპზე იბლოკება.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 16:59
**დასრულების დრო:** 17:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

- **საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ, 1-ლი და მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) რეკომენდირებულია, საგნებში, განსაკუთრებით კი ძირითადი საგნების ნაწილში გამოიკვეთოს კავშირი საჰაერო ტრანსპორტთან და ავიაციასთან;
ბ) გადამუშავდეს და დაიხვეწოს საგნის- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი სილაბუსი;
გ) საგანში - ინფორმაციული ტექნოლოგიები 1 გასწორდეს და დაკორექტირდეს მიზნები;
დ) რეკომენდირებულია სილაბუსები გამდიდრდეს ავიაციასთან დაკავშირებული პრაქტიკული მაგალითებით;
ე) რეკომენდირებულია ძირითად საგნებს დაემატოს მომხმარებელთა უფლებების მართვა, კატასტროფის რეგულაციები, რისკების, დაზღვევის მართვა და ავტომატური სისტემები;
ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვროს პროგრამის მიზნების შესაბამისად ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორის“ მოთხოვნის საფუძველზე;
ზ) დაიხვეწოს მექანიზმი, რომლითაც განისაზღვრება სტუდენტთა შეფასების ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის შედეგები, სწავლის შედეგების არაპირდაპირ შეფასებაში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების მონიტორინგისა და სამიზნე ნიშნულებთან დადარების მეთოდები;
თ) გადამუშავდეს სასწავლო კურსის ,,ბიზნესის საფუძველები“ სწავლის შედეგების ფორმულირება სასწავლო კურსის კომპონენტების და კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის გათვალისწინებით;
ი) განახლდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში: სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები;
კ) მდგრადი ხასიათი შეიძინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის დაცვის, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდისა და დენადობის მაჩვენებლის შემცირებისკენ მიმართულმა აქტივობებმა, რომლებიც განსაზღვულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით და რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას;
ლ) ხელმძღვანელის და სტუდენტების მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმოს საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესებთან შესაბამისობას;
მ) დაწესებულებამ შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების და მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვას. ასევე, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ იზრუნოს მოწვეული პერსონალის აკადემიური უნარების უწყვეტ განვითარებაზე და დაწესებულების საქმიანობაში მათ მეტად ჩართვასა და მოტივაციის გაზრდაზე;
ნ) უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, შემუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმა.

**გადაწყვეტილება**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, $3^2$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და $3^2$ პუნქ ტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის

მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ორი წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია.

**მეორე საკითხის კენჭისყრა და გადაწყვეტილება**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

- **საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება
საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
ა) დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს მექანიზმი, რომელშიც განისაზღვრება სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების ფაქტობრივად მიღწეული შედეგების, არაპირდაპირ შეფასებაში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების მონიტორინგისა და სამიზნე ნიშნულებთან დადარების მეთოდები;
ბ) მკაფიოდ გაიმიჯნოს სასწავლო კურსების (სტრატეგიული მარკეტინგი, აკადემიური წერა) სწავლის შედეგები, შინაარსი და ძირითადი ლიტერატურა ბაკალავრიატის საფეხურის მსგავსი სასწავლო კურსებისგან და მოერგოს სამაგისტრო საფეხურს.
გ) მდგრადი ხასიათი შეიძინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის დაცვის, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდისა და დენადობის მაჩვენებლის შემცირებისკენ მიმართულმა აქტივობებმა, რომლებიც განსაზღვულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით და რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას.
დ) დაწესებულებამ შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური უწყვეტი პროფესიული განვითარების და მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვას. ასევე, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ იზრუნოს მოწვეული პერსონალის აკადემიური უნარების უწყვეტ განვითარებაზე, თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვაზე და დაწესებულების საქმიანობაში მათი მეტად ჩართვასა და მოტივაციის გაზრდაზე.
ე) უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - 5 განავითარე“ ციკლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შემუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმა.
**რჩევები:**
ა) სასურველია პროგრამას დაემატოს საგნები: ლოგისტიკა, მრავალკულტურული მენეჯმენტი, ეკონომიკის მიმართულება. ასევე, საკითხები/საგანი, რომელიც მოიცავს თემატიკას იმის შესახებ თუ როგორ ხდება მომსახურების სფეროს თანამშრომლების აყვანა ავიაკომპანიებში;
ბ) დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სტუდენტების მიღება.

**გადაწყვეტილება**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და მე-$3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და $3^1$ პუნქ ტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის

„ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

**საბჭოს წევრებმა გიორგი თურქიამ და დიმიტრი გეგენავამ დატოვეს სხდომა.**

**3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა**

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა | 2019 წლის 05 მარტის N58 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 9 | სწავლების ენა | ქართული |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 11 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქ. თბილისი, 0141, ჩარგლის ქუჩა N73 |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- კი

თვითაცილება განაცხადა- ნიკოლოზ კიკნაძემ
**თვითაცილების საფუძველი:** ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.**

ექსპერტმა განმარტა, რომ გასულ წელსაც სააკრედიტაციო პროცესში როგორც ექსპერტი ჩართული იყო, როდესაც პროგრამამ 7 წლით მიიღო აკრედიტაცია და დაევალა საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ანგარიში დროულად არის წარმოდგენილი და ეცდება, რომ უშუალოდ ამ რეკომენდაციებზე და მის შესრულებაზე ისაუბროს.
სულ შემუშავდა 12 რეკომენდაცია და 4 რჩევა, უნივერსიტეტი თანამშორმობით მიუდგა და ხარვეზების უდიდესი ნაწილი გამოსწორებულია. გაუმჯობესებულია მიზნები, ჩატარებულია უკანასკნელი წლის განმავლობაში ტრენინგები იმ თემატიკაზე რაც რეკომენდაციებში იყო, უკეთესად არის წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი. ტექნიკურ მახასიათებელთან დაკავშირებით მონაცემები გაუმჯობესებულია. ყურადღება გაამახვილა სამ საკითხზე, კერძოდ,

- სავალდებულო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის“ კურსის თემატიკა;
- „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გზამკვლევის“ სტრუქტურა და შინაარსი;
- „პრაქტიკის“ სილაბუსში წარმოდგენილი ტექნიკური საკითხები რაც მარტივად შეიძლება გასწორდეს.

პირველ საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის“ კურსის ზოგადი და ძირითადი თეორიები გვხვდება სხვადასხვა სილაბუსებში. აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა გამოწვეულია იმით, რომ პროგრამაში ამ თეორიებს არ ჰქონდა სისტემური სახე სადაც სტუდენტებს შეეძლოთ სისტემატიზირებულად მიეღოთ ცოდნა. სილაბუსი ზოგადად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაგრამ ერთი საკითხი თანამედროვე კრიტიკული თეორიები, სილაბუსში არ გვხვდება. აღნიშნული დარგისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, მაგალითად პოსტმოდენიზმი, კრიტიკული თეორია, ფრანკფურტის სკოლა, მწვანე თეორიები. მართალია, აღნიშნული არ არის „მეინსტრიმ“ თეორიები, მაგრამ იმისთვის, რომ სტრუქტურიზებულად კარგად გაიგოს სტუდენტმა ეს კურსი რას გულისხმობს და დარგი რა თეორიებს მოიცავს აუცილებელია. ამისთვის ორ საათიანი სალექციო შეხვედრა საკმარისი იქნება.
მეორე რეკომენდაციას რაც შეეხება, დაწესებულება 2019 წელს მუშაობდა დოკუმენტზე „სამაგისტრო ნაშორმის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი.“ რომელიც არის ზოგადსაუნივერსიტეტო, მოიცავს ადმინისტრაციულ საკითხებს და ნაშრომის ტექნიურ მოთხოვნებს, მაგრამ ვერ ითვალისწინებს დარგისთვის დამახასიათებელ მოთხოვნებს და შინარსობრივ მხარეს. მიზანშეწონილად მიიჩნიეს, შექმნილიყო გზამკვლევი დოკუმენტი. სწორედ ვიზიტისას სამაგისტრო ნაშრომების გადახედვის დროს მივიდნენ ამ გადაწყვეტილებამდე. შეინიშნებოდა ზოგიერთ ნაშრომში ლიტერატურის მიმოხილვის არასაკმარისი მოცულობა. მეთოდოლოგიური ჩარჩოს დახვეწის შესაძლებლობა.
დაწესებულება ითვალისწინებს ამ რეკომენდაციას და შეიმუშავა შესაბამისი გაიდლაინი. თუმცა ამ დოკუმენტთან დაკავშირებითაც უნდა აღინიშნოს, რომ პროსპექტუსის შესრულების ნაწილი უკეთ ითვალისწინებს დარგობრივ სპეციფიკას ვიდრე საბოლოო შესასრულებელი ნაშორმის ნაწილი, რაც გასასწორებელია.
ასევე, ექსპერტმა გამოყო ლიტერატურის მიმოხილვის გამოყოფის და სრულყოფილა დმითიტების საჭიროება.

მესამე შენიშვნასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ნაკლებად პრობლემურია და საჭიროებს ტექნიკური ხარვეზის შესწორებას.
ეს იყო ის ძირითადი სამი საკითხი რაც საჭიროებს მუშაობას. სხვა მხრივ ყველა წარმოდგენილი მასალა შესაბამისად არის წარმოდგენილი და ფაქტობრივად რეკომენდაციებს ითვალისწინებს სრულად. ასევე, დაწესებულება რჩევების გათვალისწინებასაც ძალიან თანამშრომლობითად მიუდგა.

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ დასკვნიდან ჩანს, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ექპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები, რომ თავიდანვე ყოფილიყო ისინიც უკვე გათვალისწინებული ექნებოდათ. ამასთან, დაამატა, რომ უკვე ეს რეკომენდაციებიც ინტეგრირებულია პროგრამაში და შესრულებული. უბრალოდ ფორმატი არ ითვალისწინებს, რომ ეს მტკიცებულები კვლავ წარმოადგინონ. ასევე მზადყოფნა გამოთქვა ტენიკური ხასიათის შესწორებებზე. დასძინა, რომ უნივერსტეტი მოტივირებულია მუდმივი განვითარებით, ბიუჯეტიც შესაბამისად აქვთ გამოყოფილი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.**

**დაწყების დრო:** 18:11
**დასრულების დრო:** 18:23

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8
მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის მე-2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის, საფუძველზე შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების" სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

**4. მეოთხე საკითხი:** ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ადგილობრივი თვითთმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ადგილობრივი თვითმმართველობა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | | 2018 წლის 21 თებერვლის N35 გადაწყვეტილება |

| | | |
|---|---|---|
| | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა | |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | საჯარო მმართველობის მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | |
| 9 | სწავლების ენა | ქართული |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 11 | განხორციელების ადგილი | - |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.**

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამამ 2018 წელს გაიარა აკრედიტაცია. შემოწმდა პირველი, მეორე სტანდარტები, ასევე 4.1 და 5.2 ქვესტანდარტები. ექსპერტს ევალებოდა 2018 წელს გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შემოწმება, 2018 წელს გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- სავალდებულო სასწავლო კურსების სიაში საჯარო ადმინისტრირების კურსის დამატება
- ინგლისური ენის სავალდებულო სასწავლო კურსების გადატანა არჩევით კურსებში • პოლიტიკის ანალიზის კურსის სილაბუსის სწავლის შედეგების რედაქტირება
- სამართლის საფუძვლების ლიტერატურის განახლება
- ეკონომიკის პრინციპების სასწავლო კურსში ბლანშარის მაკროეკონომიკის დამატება

**საბჭოს წევრებმა დაამატეს შემდეგი რეკომენდაციები:**

- პროგრამის მიზნების ცვლილება თემის ლიდერის ჩამოყალიბების ნაწილში
- საჯარო პოლიტიკის კურსის დამატება
- სოციალური პოლიტიკის კურსის დამატება
- კვლევის მეთოდების კურსში თვისებრივი კვლევის მეთოდების ასახვა
- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა
- სერვისების მიწოდების კურსებში კულტურული მემკვიდრეობის, განათლების, ჯანდაცვის და ა.შ. სწავლების ბალანსის დაცვა და ადგილობრივი მმართველობის კანონის შესაბამისად შესწორებების შეტანა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ძირითადად შეასრულა რეკომენდაციები. ხოლო მათ მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:
▪ სასურველია სასწავლო კურსს სამართლის საფუძვლები გაეზარდოს კრედიტების რაოდენობა, რადგან 4 კრედიტისთვის განკუთვნილი დრო არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტებმა წარმატებით დაძლიონ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო თემები.
▪ სასურველია, ასევე გაიზარდოს აკადემიური წერისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა რადგან სტუდენტებს გაუჭირდებათ 2 კრედიტისთვის გამოყოფილ დროში სილაბუსით მოცული საკითხების საფუძვლიანი ათვისება.
▪ პრაქტიკული კომპონენტის თავისებურებებიდან გამომდინარე სასურველია, წინაპირობების ჩამონათვალს დაემატოს ასევე მუნიციპალური სერვისების მართვის სასწავლო კურსიც, რადგან სტუდენტებისათვის მიცემული დავალებების დიდი წილი სწორედ მუნიციპალურ სერვისებს უკავშირდება.

რჩევებს რაც შეეხება,

- საგულისხმოა, რომ მიღების წინაპირობებში არ არის მითითებული საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები. სასურველია პროგრამაზე ჩარიცხვის პირობებს დაემატოს შესაბამისი ჩანაწერი.
- სასურველია სამომავლოდ პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სავალდებულო საგნის უცხოენოვანი კომპონენტი, მაგ. საჯარო პოლიტიკის ანალიზი ინგლისურ ენაზე. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს, რომ აქტიური შეხება ქონდეთ პროფესიულ ტერმინოლოგიასთან უცხო ენაზე.

მიღწევებს რაც შეეხება კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ გაზრდილია ძირითადი აკადემიური პერსონალის რაოდენობა, შესაბამისად შემცირებულია მოწვეულთა რიცხვი, რაც ადგილობრივი თვითთმართველობის სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით წარმოადგენს დამაკმაყოფილებელ ბალანსს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელებს წარმოედგინათ პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმებიან ექსპერტის მოსაზრებას. ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალური სერვისების კოდი არის ტექნიკუად გამორჩენილი. სილაბუსს, რომ გადაავლონ თვალი ეს პრაქტიკული კომპონენტი აწყობილია მუნიციპალური სერცვისების ფორმებზე. აკადემიურ წერას რაც შეეხება შესაძლებელია ამ კრედიტების გაზრდა, მაგრამ თავიდან არ ჩათვალეს საჭიროდ, რადგან უკვე გარკვეული ბაზის მქონე სტუდენტები მოდიან მათთან. თუმცა თუ საჭირო იქნება ამ რეკომენდაციასაც გაითვალისწინებენ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო:** 18:45
**დასრულების დრო:** 18:58

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ადგილობრივი თვითთმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი -0

**გადაწყვეტილება**
აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყვიტა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ადგილობრივი თვითთმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მე-5 საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა